INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" (IDFI) არის არასამთავრობო ორგანიზაცია.

ინსტიტუტის პრიორიტეტს წარმოადგენს კანონით ნებადართული ნებისმიერი ღონისძიების და საქმიანობის განხორციელება, რომელიც დაკავშირებულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობასა და მისი ხარისხის ამაღლებასთან, ასევე სახელმწიფო ვებ-რესურსების განვითარებით ხელისუფლების ღიაობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესებასთან, დოკუმენტების ხელმისაწვდომობის და არქივების გახსნილობის, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობასთან.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ა.მაჭავარიანის (არაგვის) ქუჩა №4
საქართველო, თბილისი, 0179
ტელ: + 99532 996364
ელ-ფოსტა: info@idfi.ge
ვებ-მისამართი: www.idfi .ge

წინამდენარე ნაშრომი წარმოადგენს „**ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის**“ პროექტის „**საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზი**”-ს ფარგლებში განხორციელებულ კვლევას, რომელიც ეხება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას საქართველოში. ბიულეტენში მოცემულია საქართველოს საჯარო დაწესებულებებიდან პროექტის ფარგლებში ოფიციალურად გამოთხოვნილი და მიღებული საჯარო ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზი. პროექტი და ბიულეტენის გამოცემა განხორციელდა ფონდის **„ღია საზოგადოება საქართველოს**“ ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევის ავტორი: **ანა მდინარაძე**

რედაქტორი: **ლევან ავალიშვილი**

გამოცემაზე მუშაობდნენ: **ლევან ავალიშვილი, გიორგი კლდიაშვილი, მარიამ გაბაშვილი, მარიკა კეჭაყმაძე, კონსტანტინე ჯანჯღავა**.

საინფორმაციო ბიულეტენში ავტორების მიერ გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ფონდის „**ღია საზოგადოება-საქართველოს**“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

საინფორმაციო ბიულეტენი დაყოფილია სამ ნაწილად. **პირველ ნაწილში** მოცემულია პროექტის „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის“ მოკლე აღწერა, მისი მიზნები და განხორციელების გზები.

მეორე ნაწილში განხილულია ინფორმაციის თავისუფლების საკითხებზე საქართველოს საკანონმდებლო მარეგულირებელი აქტები, თუ რას წარმოადგენს საჯარო ინფორმაცია, როგორ განმარტავს პირის პერსონალურ მონაცემებს საქართველოს კანონმდებლობა და რა სახის ინფორმაცია განეკუთვნება სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას. აქვე მოცემულია ადმინისტრაციული ორგანოების დამოკიდებულება და ზოგადი ტენდენციები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, თუ რა ვადებში გასცემენ ისინი გამოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას და როგორია ინფორმაციის ზოგადი გაცემის მაჩვენებელი საქართველოში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საჯარო დაწესებულებების განმარტებები და დამოკიდებულება საჯარო მოსამსახურის შრომითი ანაზღაურების, პრემიის და სამივლინებო ხარჯების საჯაროობასთან დაკავშირებით.

გამოცემის **მესამე ნაწილში** უფრო დეტალურად არის გაანალიზებული პროექტის 6 თვიანი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული შედეგები და ჩამოყალიბებული პრაქტიკა, გაგზავნილი ინფორმაციის გამოთხოვნის განცხადებების და მიღებული პასუხების სტატისტიკური მონაცემები კონკრეტული საჯარო დაწესებულებების მიხედვით, თუ რომელია ყველაზე გამჭვირვალე და ყველაზე დახურული ადმინისტრაციული ორგანო და რომელმა მათგანმა დატოვა სრულიად უპასუხოდ IDFI-ის მოთხოვნები.

„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა“ – www.opendata.ge

პროექტი „**საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა**“, რომელსაც „**ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**“ (შემდგომში IDFI) ფონდ „**ღია საზოგადოება საქართველოს**“ ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს, მიზნად ისახავს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლებას, საჯარო ფინანსების ხარჯვის ეფექტურობის და ტრანსპარენტულობის გაზრდას, ელექტრონული დემოკრატიის სტანდარტების დამკვიდრებით ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობასა და მოსახლეობის, არასამთავრობო სექტორისა და მედიის ჩართულობით საჯარო დაწესებულებებზე საზოგადოებრივი კონტროლის გაუმჯობესებას.

ონლაინ რესურს ბაზის საშუალებით (www.opendata.ge) მოსახლეობას, მედიას, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებს ეძლევათ შესაძლებლობა თვალი ადევნონ საჯარო ინფორმაციის ღიაობისა და ხელმისაწვდომობის ტენდენციებს საქართველოში, ონლაინ მონიტორინგი აწარმოონ სხვადასხვა უწყებების ანგარიშების, გეგმების, ხარჯვითი ნაწილის, კომპეტენციის სფეროს განვითარების და სხვა.

საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge

მონაცემთა ბაზის საძიებო სისტემის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მომხმარებლებს მოიძიონ საჭირო ინფორმაცია, როგორც თემატურად, ისე საჯარო უწყებების ჩამონათვალის მიხედვით. თემატურად შექმნილ განსხვავებულ ბლოკებში განთავსებულია სხვადასხვა საჯარო დაწესებულების მიერ ოფიციალურად გაცემული ინფორმაცია – სახელმწიფო დაწესებულებების ბიუჯეტი, სახელმწიფო პროგრამები, სახელფასო ფონდები, გამოცხადებული ტენდერები და სახელმწიფო შესყიდვები, საპრემიო და სარეზერვო ფონდების ოდენობა, უწყებების საშტატო ერთეულების რაოდენობა, სამივლინებო ხარჯები, სახელმწიფო ორგანოების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული პროექტები, საჯარო ინფორმაციის გაცემის სტატისტიკა და სხვა საჯარო ინფორმაცია.

მონაცემთა ბაზა ახლდება რეგულარულად საჯარო ინფორმაციის ოფიციალური გამოთხოვით, საჯარო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გზით, ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ჟურნალისტების მიერ მოპოვებული საჯარო ინფორმაციის მოძიებისა და განთავსების გზით, აგრეთვე IDFI-ის მიერ საჯარო დაწესებულებების ოფიციალური

ვებ-გვერდების მონიტორინგით. ონლაინ რესურს ბაზის ინფორმაციით შევსება ხორციელდება სამ ეტაპად. პირველ რიგში, მოვიპოვეთ და ვებ-გვერდზე განვათავსეთ ინფორმაცია სამინისტროების, პრეზიდენტის ადმინისტრაციის, მთავრობის, პარლამენტისა და თბილისის მერიის შესახებ. შემდგომ ეტაპზე მონაცემთა ბაზა შეივსება საქართველოს საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, რეგიონებში სამთავრობო დაწესებულებების წარმომადგენლობების და მუნიციპალიტეტების მიერ გაცემული საჯარო ინფორმაციით. ინფორმაციის გაცემის უსაფუძვლო შეზღუდვების შემთხვევაში „ინსტიტუტის“ ექსპერტები დეტალურად იკვლევენ იმ მიზეზებს, თუ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ რატომ არ გაიცა გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია, შედეგები კი გამოტანილი იქნება საზოგადოების სამსჯავროზე.

პროექტის ფარგლებში IDFI, ამ სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, საია, მწვანე ალტერნატივა) თანამშრომლობით, ახდენს საქართველოს კანონმდებლობის ანალიზს; სწავლობს სამთავრობო და არასამთავრობო საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზების შექმნის, ფუნქციონირების და განვითარების საერთაშორისო პრაქტიკას; ატარებს პროექტის მედიის კომპონენტის; გამოკითხვას საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის აქტუალური საკითხების გამოსავლენად.

ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში

ინფორმაციის თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოსტულატი და ფასეულობაა. 2008 წლის 26 ნოემბერს ევროპის საბჭოს მიერ მიღებული კონვენციით „ოფიციალურ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობის თაობაზე,“ რომელსაც ხელი საქართველომაც მოაწერა, ინფორმაციის თავისუფლება ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებად იქნა აღიარებული, რაც, თავისთავად, ხაზს უსვამს ხელისუფლების ღიად და გამჭვირვალედ საქმიანობის ვალდებულებას და საზოგადოების წინაშე არსებული ანგარიშვალდებულების ამგვარად შესრულების აუცილებლობას.

საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებულია ყველა ადამიანის უფლება, მიიღოს მისთვის სასურველი ინფორმაცია. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია ინფორმაციის თავისუფლების მაღალ სტანდარტს აწესებს:

კონსტიტუციის 24-ე მუხლი:

„ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით“.

კონსტიტუციის 41-ე მუხლი:

„საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.“

საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას საქართველოს ასევე ავალდებულებს ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციის მე-10 მუხლი, რომლის თანახმადაც, გამოხატვის თავისუფლება მოიცავს ადამიანის უფლებას, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე.

1999 წელს საქართველოს პარლამენტმა ადმინისტრაციულ სამართალში მნიშვნელოვანი და პროგრესული რეფორმა განახორციელა, დაამტკიცა ახალი ქართული ადმინისტრაციული კოდექსი, რომელიც ჰოლანდიურ, გერმანულ და ამერიკულ ადმინისტრაციულ სამართლის კონცეფციებს ეყრდნობოდა. კოდექსმა, რომელიც ძალაში 2000 წლის დასაწყისში შევიდა, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სრულიად ახალი ფუნდამენტური პრინციპები დაამკვიდრა საქართველოში. კოდექსით გათვალისწინებული ახალი დებულებებიდან ერთ-ერთი ძირითადი საკითხია საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული წესები, კოდექსში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი ნორმები და მექანიზმები მასში ყველაზე ვრცლად და დეტალურად არის მოცემული. ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით საჯარო ინფორმაცია უნდა იყოს ღია და

მისი მიღება შეუძლია ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირს მისი მოქალაქეობის მიუხედავად, კოდექსის 37-ე მუხლი:

„ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა.“

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის – *„ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო და აუდიო ჩანაწერები) ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია“.*

კოდექსის 42-ე მუხლი განსაზღვრავს ინფორმაციის იმ სახეობას, რომლის გასაიდუმლოებაც დაუშვებელია:

ა) ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;
ბ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები;
გ) საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოსამსახურეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე გადაწყვეტილებათა მიღების წესი;
დ) საჯარო დაწესებულების იმ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ევალებათ საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება;
ე) კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მისაღებად გამართული ღია კენჭისყრის შედეგები;
ვ) არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია;
ზ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, აგრეთვე სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს;
თ) საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე საჯარო მონაცემთა ბაზისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი;
ი) საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი;
კ) საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოხდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა) შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათში ცვლილების თაობაზე;
ლ) იმ პირთა კატეგორია, რომელთაც კანონით უფლება აქვთ გაეცნონ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს;
მ) საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია;
ნ) ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებად.

ინფორმაციის ღიაობა ორ შემთხვევაშია შეზღუდული: როდესაც ეს კანონითაა გათვალისწინებული და როცა დადგენილი წესით იგი მიეკუთვნება სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას. სახელმწიფო საიდუმლოებისადმი ინფორმაციის მიკუთვნების წესი რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით, მაგალითად - “საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“. რაც შეეხება კომერციული და პირადი ინფორმაციის საიდუმლოების დეფინიციას, ისინი კოდექსში ზოგადად არის მოცემული, კერძოდ:

- კომერციული საიდუმლოება არის ის ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა, ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეიძლება გააჩნდეს საკუთარი კომერციული საიდუმლოება. ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის

შესახებ ინიციატივა მისი მესაკუთრისგან უნდა მოდიოდეს, თუმცა მისი გასაიდუმლოების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ის საჯარო დაწესებულება, რომელშიც ეს ინფორმაცია ინახება;

- პირადი საიდუმლოება არის ის ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა (პერსონალური მონაცემი) და რომლის პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს წყვეტს თავად ის პირი, ვის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია.

თუმცა, ამავდროულად აღსანიშნავია კოდექსის 44-ე მუხლით გათვალისწინებული დებულება, რომელიც ერთმნიშვნელოვნად აცხადებს თანამდებობის პირთა (თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების ღიაობას**:**

„საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, **თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა.“**

მაშასადამე**,** როცა საქმე გვაქვს „თანამდებობის პირის პერსონალურ მონაცემებთან“, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ინფორმაცია ღიაა და არ საჭიროებს ამ პირის თანხმობას ინფორმაციის გაცემისას.

საქართველოში ინფორმაციის გამოთხოვნისთვის წერილობითი პროცედურაა დადგენილი, ხოლო საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ამ ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობა დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა (ამ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნისთანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს). ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას საჯარო დაწესებულება ასევე ვალდებულია 3 დღის ვადაში აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს და განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი. საქართველოს კანონმდებლობაში არის რიგი სხვა კონკრეტული ნორმატიული აქტებიც, სადაც აგრეთვე საუბარია ინფორმაციის თავისუფლების შესახებ: საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.

პროექტის – „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა“ – პირველი ეტაპის განხორციელებისას გამოვლენილი ზოგადი ტენდენციები

პროექტის ფარგლებში IDFI-იმ საჯარო ინფორმაციის მიღების მიზნით მიმართა 23 ადმინისტრაციულ ორგანოს: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, საქართველოს მთავრობას, საქართველოს პარლამენტს, სამინისტროებსა და თბილისის მერიას. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებები გაეგზავნა კიდევ რამდენიმე საჯარო დაწესებულებას. გაგზავნილი განცხადებების შინაარსი თითქმის ყველა სახელმწიფო ორგანოსთვის იდენტური გახლდათ, კერძოდ, ინფორმაცია გამოვითხოვეთ პროექტით გათვალისწინებული ძირითადი თემატური ბლოკების მიხედვით, რომელთა შესახებაც ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს და ხელისუფლების ღიაობისა და ანგარიშვალდებულების ბარომეტრად შეიძლება ჩაითვალოს:

1. 2009-2010 წ.წ. ბიუჯეტი და ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები კვარტლების ან/და თვეების მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. 2010 წელს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოცხადებული ტენდერებისა და განხორციელებული შესყიდვების სრული ჩამონათვალი;
3. ადმინისტრაციული ორგანოების თანამშრომელთა სია თანამდებობის მიხედვით და თითოეულის თანამდებობრივ სარგოზე (ცალ-ცალკე) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხების ოდენობა 2009-2010 წლებში;
4. ადმინისტრაციული ორგანოების თანამდებობის პირთა ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინებებზე დახარჯული თანხები 2009-2010 წლებში;
5. ადმინისტრაციული ორგანოების თანამდებობის პირებზე 2009-2010 წლებში გაცემული პრემიების ინდივიდუალური გადანაწილება თვეების მიხედვით და პრემიური თანხების საერთო კვარტალური ოდენობა;
6. 2010 წელს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ჩატარებული კულტურული და სარეკლამო ღონისძიებების სრული სია;
7. 2009-2010 წლებში ადმინისტრაციული ორგანოების თანამდებობის პირების: თანამდებობრივი სარგოებისა (ცალ-ცალკე) და სახელფასო დანამატების ოდენობა (ცალ-ცალკე);
8. 2010 წელს ადმინისტრაციული ორგანოების კომპეტენციის სფეროში განხორციელებული პროექტებისა და პროგრამების ჩამონათვალი;
9. 2010 წელს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ჩატარებული კულტურული და სარეკლამო ღონისძიებების სრული სია;
10. 2010 წლის ოქტომბრის მდგომარეობით ადმინისტრაციული ორგანოების ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი;
11. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოების ავტოპარკის შესახებ:
    - ბალანსზე რიცხული ავტომანქანების პერსონალურად გადანაწილება თანამდებობის პირებზე (მ.შ. ავტომანქანის მოდელი) და საწვავის ხარჯის ყოველთვიური ზღვრული ლიმიტი (მ.შ. საწვავის ტიპი) 2009/2010 წლებში;
    - ადმინისტრაციული ორგანოების თანამდებობის პირთა და თანამშრომელთა მიერ (თითოეულის ცალ-ცალკე) სამსახურის ავტომანქანებით მომსახურებაზე (შეკეთება, ცვეთა) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა 2009/2010 წ.წ. განმავლობაში;
12. ადმინისტრაციული ორგანოების თანამდებობის პირთა და თანამშრომელთა (ცალ-ცალკე) სატელეფონო საუბრებზე (მ.შ. მობილურ ტელეფონებზე) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა 2009/2010 წლებში;
13. ადმინისტრაციული ორგანოების თანამდებობის პირთა და თანამშრომელთა მობილური ტელეფონებისა და ავტომანქანების შესყიდვაზე ბიუჯეტიდან დახარჯული თანხების ოდენობა 2009/2010 წლებში.

5 თვის განმავლობაში ადმინისტრაციულ ორგანოებში გაიგზავნა 539 განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე, რომელთაგან პასუხი მივიღეთ მხოლოდ 251 განცხადებაზე. აქედან სახელმწიფო ორგანოების მიერ სრულყოფილად მოგვეწოდა ინფორმაცია მხოლოდ 178 შეკითხვაზე, არასრულყოფილი ინფორმაცია[1] მოგვაწოდეს 73 განცხადებაზე, დარჩენილი 261 მოთხოვნა დღემდე უპასუხოდ არის დარჩენილი, ხოლო „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს“ წერილობითი უარი ინფორმაციის გაცემაზე ეცნობა მხოლოდ 27 შემთხვევაში.





პრაქტიკამ ცხადყო, რომ საჯარო დაწესებულებების მხრიდან ინფორმაციის მოწოდების ვადებიც ხშირ შემთხვევაში ირღვევა. გაგზავნილ განცხადებებზე ვადის დაცვით ინფორმაციის თავისუფლების განვითარების „ინსტიტუტმა“ მხოლოდ 119 პასუხი მიიღო, ხოლო 159 პასუხი ვადის დარღვევით მოგვეწოდა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ინფორმაციის მოწოდების ათ დღიანი ვადა სულ ოთხმა უწყებამ დაიცვა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 10 დღე არის მაქსიმალური ვადა, რომელიც მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევებში გამოიყენება და დადგენილია კანონით. სამწუხაროდ, ადმინისტრაციული ორგანოები საჯარო ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემის ვალდებულებას იშვიათად ასრულებენ.





1 არასრულყოფილ ინფორმაციად მიჩნეულია ზოგადი სახის პასუხები, რომლებიც არ შეესებამებოდა განაცხადების შინაარს. მაგ., თუ ჩვენ ვითხოვდით კონკრეტულ თანამდებობის პირთა სამივლინებო ხარჯებს, ხოლო ინფორმაცია მოგვეწოდა მთლიანი ციფრის სახით, მაშინ ასეთი სახის ინფორმაცია ჩათვლილია როგორც არასრულყოფილი (ნაწილობრივი) პასუხი.

პრაქტიკაში ასევე ნათლად გამოიკვეთა, რომ ზოგადად საჯარო ინფორმაციის გაცემა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გამარტივებულია მხოლოდ მაშინ, თუ გამოთხოვნილი ინფორმაცია არ ეხება საბიუჯეტო ფინანსების ხარჯვას. მაგალითისთვის, როდესაც ვითხოვდით კულტურული ღონისძიებებისა და განხორციელებული პროგრამების ჩამონათვალს ან კიდევ სახელმწიფო შესყიდვების ჩამონათვალს (მათი ღირებულების გარეშე), ან ვებ-გვერდების მომხმარებელთა რაოდენობას - ამ შინაარსის ინფორმაცია უფრო მაღალი მაჩვენებლით და ვადების დაცვით მოგვეწოდა.









ადმინისტრაციული ორგანოების თანამდებობის პირთა ანაზღაურების, სამივლინებო ხარჯებისა და საპრემიო თანხების შესახებ გაგზავნილ განცხადებებზე მიღებული პასუხების მაჩვენებელი გაცილებით დაბალია. საკმაოდ ბევრია სრულიად რეაგირების გარეშე დარჩენილი პასუხები. განსაკუთრებით ხაზგასასმელია, ის ფაქტი, რომ მიღებული უარების უმრავლესობა მოდის საპრემიო თანხების შესახებ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, ადმინისტრაციული ორგანოების სტანდარტული დასაბუთებით: **„ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე“** (კონსტიტუციის 41-ე მუხლი). რამდენიმე ადმინისტრაციულმა ორგანომ (იუსტიციის სამინისტრო, კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამინისტრო, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) მიგვითითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლზე, რომლის თანახმად სხვისი პერსონალური მონაცემების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ვალდებულია, წარადგინოს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებული თანხმობა, რომლის არარსებობის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს ზემოთ დასახელებული ინფორმაცია.









ჩატარებულმა კვლევამ ნათლად წარმოაჩინა საქართველოს საჯარო დაწესებულებების განსხვავებული მიდგომა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემასთან მიმართებაში. ზოგიერთმა ადმინისტრაციულმა ორგანომ სრულყოფილად მოგვაწოდა ინფორმაცია თანამშრომელთა ხელფასების, პრემიების და სამივლინებო ხარჯების შესახებ. მაგალითად, **რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა** ვადის დაცვით და ამომწურავად გასცა პასუხი ჩვენს მიერ გაგზავნილ ყველა შეკითხვას, უფრო მეტიც, ჩვენს მოთხოვნაზე მიგვეღო საჯარო ინფორმაცია თანამშრომელთა შრომითი ანაზღაურების შესახებ, მათ სრულად მოგვაწოდეს ინფორმაცია ყველა თანამშრომლის თანამდებობრივი სარგოს და მათზე გაცემული საპრემიო და სამივლინებო ხარჯების ოდენობის შესახებ. ასევე ვადის დაცვით და სრულყოფილად გასცა ინფორმაცია **გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ**. ზოგ შემთხვევაში, ინფორმაცია მოგვეწოდა მხოლოდ თანამდებობრივი სარგოების და სამივლინებო ხარჯების შესახებ, ხოლო პრემიური ანაზღაურების შესახებ ინფორმაციის მიღებაზე უარი მივიღეთ, მაგალითად, იუსტიციის სამინისტრომ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მოგვაწოდეს თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოები და უარი გვითხრეს პრემიების შესახებ ინფორმაციის გაცემაზე.

გაუგებარია ადმინისტრაციულ ორგანოთა განმარტება იმის თაობაზე, რომ თითოეული თანამშრომლის ხელფასი და სამივლინებო ხარჯები საჯარო ინფორმაციაა, ხოლო საპრემიო წახალისება - პერსონალური. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის თანახმად, ხელფასი - შრომითი ანაზღაურება მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს, აქედან გამომდინარე, კანონის მიხედვით, პრემიაც და თანამდებობრივი სარგოც ხელფასის შემადგენელი ნაწილია, ამიტომ როდესაც ადმინისტრაციული ორგანოები ხელფასების შესახებ ინფორმაციას საჯაროს ხდიან, შესაბამისად, დაბრკოლების გარეშე უნდა გასცემდნენ ინფორმაციას თანამშრომელთა პრემიების შესახებაც.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლი ცალსახად უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების საიდუმლოების დაცვას **„გარდა თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემებისა“**, მაშასადამე, პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია დახურულია და არ ექვემდებარება გაცემას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტი არ არის **„თანამდებობის პირი“**. ხოლო, იმ შემთხვევაში, როცა საქმე გვაქვს **„თანამდებობის პირის პერსონალურ მონაცემებთან“**, ინფორმაცია ღიაა და არ საჭიროებს ამ პირის თანხმობას მისი გაცემისას. თანამდებობის პირთა ჩამონათვალი განსაზღვრულია „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტისა და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

მიუხედავად ამისა, *იუსტიციის სამინისტრომ, ფინანსთა სამინისტრომ, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, მთავრობის კანცელარიამ, სახელმწიფო მინისტრის აპარატმა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ* და *საქართველოს პარლამენტმა* უარი განაცხადეს აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე კონსტიტუციის 41-ე მუხლის მეორე ნაწილის მითითებით.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუცია არის სახელმწიფოს უზენაესი კანონი, მაგრამ, ამავდროულად, საკმაოდ ზოგადი დოკუმენტია და შეუძლებელია მასში ყველა სამართლებრივი საკითხი დეტალურად იქნეს რეგულირებული. კონსტიტუციის 41-ე მუხლის მეორე ნაწილი არ აკონკრეტებს და არ ავლებს ზღვარს საჯარო პირის და კერძო პირის „პირად მონაცემებს“ შორის,

იგი ზოგადი მუხლია და შეზღუდვის დაწესება მხოლოდ ამ მუხლის საფუძველზე არ არის მართებული. გარდა ამისა, კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად პირის პერსონალური მონაცემი შეიძლება საჯარო გახდეს: 1) „კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში“, რაც კანონმდებლობაში წარმოდგენილი გვაქვს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის სახით და 2) „როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“ – ამ შემთხვევაში „სხვათა უფლებების“ განმარტებისას, აუცილებლად უნდა ვიგულისხმოთ მოქალაქეთა, საყოველთაოდ აღიარებული, საჯარო ინფორმაციის თავისუფლად მიღების უფლება.

ასევე აღსანიშნავია, ადმინისტრაციული ორგანოების განსხვავებული მიდგომა ინფორმაციის გაცემის ფორმასთან მიმართებაში. გაგზავნილი იდენტური კითხვების პასუხები სხვადასხვა დაწესებულებამ სხვადასხვანაირად მოგვაწოდა. მაგალითისთვის, როდესაც მოვითხოვეთ თანამშრომელთა სია (ჩამონათვალი), ზოგიერთმა ადმინისტრაციულმა ორგანომ მხოლოდ თანამშრომელთა ოდენობის შესახებ ზოგადი ციფრი მოგვაწოდა. რამდენიმე საჯარო დაწესებულებამ კი პირის ფინანსებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოთხოვნაზე უარით გვიპასუხა და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებზე მიგვითითა; მაგალითად, საქართველოს პარლამენტმა ინფორმაციის გაცემაზე უარი განგვიმარტა კონსტიტუციის 41-ე მუხლზე დაყრდნობით და ასევე მიგვითითა, რომ პარლამენტის წევრთა შემოსავლების შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია მოვიძიოთ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებში. გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის I-ლი პუნქტის თანახმად **„ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს**.“

ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ ზოგიერთი საჯარო დაწესებულება ზღუდავს ისეთი ინფორმაციის გაცემას, როგორიც არის არა მარტო პრემიური ანაზღაურება და სამივლინებო ხარჯები, არამედ საჯარო დაწესებულების მიერ თანამშრომელთა სატელეფონო საუბრებზე და ავტომანქანებით მომსახურებაზე, ასევე ავტომობილებისა და მობილური ტელეფონების შესყიდვაზე გაწეული ხარჯები. მაგალითად, ენერგეტიკის სამინისტრომ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ საერთოდ არ გაგვცეს პასუხი ზემოაღნიშნულ მოთხოვნებზე. გაუგებარია მათი დუმილი და ამ საკითხებზე ინფორმაციის მოუწოდებლობა, მაშინ როდესაც ისინი არ ეხება პირის „პერსონალურ მონაცემებს“ და განეკუთვნება საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო (სახელმწიფოს საბიუჯეტო) ფინანსების განკარგვას.









მნიშვნელოვანია, ასევე საჯარო დაწესებულებების ვალდებულება, დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირი და უზრუნველყოს ამ პირის ვინაობის და საკონტაქტო მონაცემების საჯაროობა. ხშირ შემთხვევებში, ძნელია იმის დადგენა, თუ ვინ არის კონკრეტულ საჯარო დაწესებულებაში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი და შემდგომ მასთან დაკავშირება. ასევე, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება პასუხისმგებლობის საკითხი ამ პირების მიერ ინფორმაციის გაუცემლობის ან ვადის დარღვევით საჯარო ინფორმაციის გაცემის შემთხვევაში. არსებული პრაქტიკის მიხედვით, მათ თითქმის არასდროს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ჯარიმის სახით. პრაქტიკაში, იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელს ადმინისტრაციული საჩივარი დაუკმაყოფილდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს ეკისრება მხოლოდ ქმედების განხორციელება - ინფორმაციის გაცემა და თითქმის არასდროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. შესაბამისად, ამ პირების გულგრილი დამოკიდებულება მიღებული განაცხადების მიმართ სრულიად ბუნებრივია და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ვალდებულებები საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან უმრავლეს შემთხვევაში უხეშად ირღვევა.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში ხშირად ვაწყდებით საჯარო დაწესებულებებიდან ინფორმაციის არასრულად გაცემის ან დაუსაბუთებელი უარის მიღების შემთხვევებს. მაგალითად გვინდა მოვიყვანოთ ენერგეტიკის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების „განმარტება“ სატელეფონო საუბრის დროს. ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა სატელეფონო საუბარში, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, განგვიცხადა, რომ უნდა დავკმაყოფილებულიყავით იმ ერთ-გვერდიანი ზოგადი პასუხით, რითაც სამინისტრომ ჩვენს 13 შეკითხვაზე გვიპასუხა. კითხვები ეხებოდა არა მხოლოდ თანამდებობის პირთა საპრემიო თანხებს, არამედ სამინისტროს ავტოპარკის და თანამშრომელთა საკომუნიკაციო ხარჯებს. უპასუხოდ დარჩა - სამინისტროს თანამშრომელთა 2009 წლის სამივლინებო ხარჯების შესახებ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაცია. სამინისტროს მხრიდან აღნიშნული დახურული ფორმატი ცოტათი გაურკვეველი დარჩა ჩვენთვის, რადგან ერთი თვით ადრე სამინისტრომ ანალოგიური შინაარსის მოთხოვნაზე 2010 წლის სამივლინებო ხარჯებზე ამომწურავი პასუხი მოგვაწოდა. რაც შეეხება სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა სატელეფონო

საუბრის დროს განგვიცხადა, რომ ის არ იყო ვალდებული მოეწოდებინა ის ინფორმაცია რასაც IDFI ითხოვდა.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ 23 დეკემბერს განმეორებითი განცხადებებით მიმართა ყველა იმ უწყებას, რომლებისგანაც პირველ მცდელობაზე არ მოგვეწოდა ინფორმაცია ან მხოლოდ ნაწილობრივი პასუხი მივიღეთ. თუმცა, სურათი კვლავ უცვლელი დარჩა და დღემდე ისინი დუმილს ამჯობინებენ. „გაუმჯობესება“ შეინიშნება მხოლოდ იმ მხრივ, რომ უპასუხოდ დარჩენილ მოთხოვნებზე (საპრემიო თანხების შესახებ) წერილობითი უარები მივიღეთ, თუმცა პასუხში არ არის მითითებული ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების წესი და არ არის განმარტებული განმცხადებლის უფლებები, რაც ევალებათ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მიხედვით.

პროექტის განხორციელების პროცესში გამოიკვეთა *სამი ყველაზე გაუმჭვირვალე* და *არა ანგარიშვალდებული* ადმინისტრაციული ორგანო, რომლებმაც ყოველგვარი რეაგირების გარეშე დატოვეს „ინსტიტუტის“ განცხადებები, კერძოდ: **განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**, **ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო და თავდაცვის სამინისტრო**.

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა ყველა იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლებმაც უარი განაცხადეს ან რეაგირების გარეშე დატოვეს „ინსტიტუტის“ განცხადებები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე. გაიგზავნა 12 საჩივარი, მათგან საჩივარი თბილისის მერიიდან უკან გამოვითხოვეთ (რადგან ინფორმაცია 3 თვიანი ლოდინის შედეგად სწორედ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენიდან მესამე დღეს მოგვაწოდეს); ანგარიშის გამოცემის პერიოდისთვის საჩივარზე რეაგირება სამმა ადმინისტრაციულმა ორგანომ მოახდინა. 2 შემთხვევაში დაინიშნა საჩივრის ზეპირი მოსმენა, ხოლო ფინანსთა სამინისტრო გაუგებარი დასაბუთებით იტყობინება, რომ „ინსტიტუტის“ მიერ წარდგენილი საჩივარი საქალაქო სასამართლოს განსჯადია და მას უნდა მივმართოთ.

კვლევის პერიოდში (10/19/2010 – 08/02/2011) გაგზავნილი განცხადებების და მიღებული პასუხების სტატისტიკური მონაცემები კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოების მიხედვით

ხუთი ადმინისტრაციული ორგანო, რომლებმაც პრაქტიკულად უპასუხოდ დატოვეს „ინსტიტუტის“ განცხადებები, კერძოდ:

1. **საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია:** „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ გაგზავნილ 33 შეკითხვაზე პასუხი მივიღეთ მხოლოდ ორზე. საჯარო ინფორმაცია მოგვაწოდეს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური საჩუქრების ჩამონათვალის შესახებ, ისიც, არასრული სახით მოვითხოვეთ 15 წლის მონაცემები და მოგვაწოდეს მხოლოდ 2009-2010 წლების ინფორმაცია). ასევე, მოვითხოვეთ ინფორმაცია ოფიციალური საჩუქრების შეფასებული ღირებულების შესახებ, ეს უკანასკნელი ინფორმაცია არ მიგვიღია. „ინსტიტუტი“ 3 თვის განმავლობაში მიმართავდა პრეზიდენტის ადმინისტრაციას სხვადასხვა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით, თუმცა უშედეგოდ. 18 იანვარს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში „ინსტიტუტმა“ წარადგინა ადმინისტრაციული საჩივარი. გადაწყვეტილების მიღების ერთთვიანი ვადა იწურება 18 თებერვალს, ჯერჯერობით ადმინისტრაციიდან არანაირი შეტყობინება საჩივრის განხილვის თაობაზე არ მიგვიღია.



2. **განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო:** სამინისტროს გაეგზავნა 31 შეკითხვა, რასაც სამინისტროს მხრიდან არც ერთხელ არ მოჰყოლია რეაგირება. „ინსტიტუტმა“ 2011 წლის 18 იანვარს ამ უწყებასაც მიმართა ადმინისტრაციული საჩივრით, თუმცა გამოხმაურება არც საჩივრის წარდგენის შემდგომ მომხდარა.



3. **ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებულ, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო**: სამინისტროს გაეგზავნა 31 შეკითხვა და ზემოთ აღნიშნული უწყებების მსგავსად, ვერც ამ შემთხვევაში მივიღეთ საჯარო ინფორმაცია. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირთან სატელეფონო საუბრისას, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, განგვემარტა, რომ მოთხოვნილ ინფორმაციას ვერ მივიღებდით. „ინსტიტუტმა“ აღნიშნულ ადმინისტრაციულ ორგანოსაც ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა. თუმცა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ტრადიციას არ ღალატობს და დუმილს ამჯობინებს.



4. **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო:** IDFI-იმ სამჯერ მიმართა განცხადებებით შინაგან საქმეთა სამინისტროსაც და 31 შეკითხვა გაუგზავნა აღნიშნულ უწყებას, მაგრამ რეაგირება არც ამ განცხადებებს მოჰყოლია მანამ, სანამ არ გაიგზავნა ადმინისტრაციული საჩივარი სამინისტროში. ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი განხილვა გაიმართა ა/წ 10 თებერვალს, მოსმენის დროს სამინისტროს წარმომადგენელმა დააფიქსირა შემდეგი პოზიცია: „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ სამინისტროს თანამშრომელთა ხელფასების თაობაზე მოთხოვნილ ინფორმაციაზე სამინისტროს თანამშრომელთა შრომითი ანაზღაურების შესახებ ნორმატიული აქტზე მიგვითითეს. რაც შეეხება სამივლინებო ხარჯებს და საპრემიო ანაზღაურებებს, შსს-ს წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული ინფორმაცია ღიაა და შესაძლებელია მოვიძიოთ ვებ-სივრცეში გამოქვეყნებულ თანამდებობის პირთა ქონებრივ დეკლარაციებში. აღსანიშნავია, რომ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში მითითებულია მხოლოდ საჯარო მოხელის მიერ სამუშაოს შესრულებით წინა წელს მიღებული შემოსავლის ზოგადი ერთიანი ციფრი. შესაბამისად, შეუძლებელია გამოითვალოს ამ ციფრიდან ხელფასის, პრემიისა და სამივლინებო ხარჯის წილობრივი გადანაწილება. გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, **„**ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს.“ აღსანიშნავია, რომ საჯარო ინფორმაციის ვადებში მოუწოდებლობა აიხსნა იმ ფაქტით, რომ სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ჩვენს მიერ ინფორმაციის მოთხოვნის პერიოდისთვის იმყოფებოდა დეკრეტულ შვებულებაში. ადმინისტრაციულ საჩივარზე გადაწყვეტილების მიღების ვადა 2011 წლის 18 თებერვალს იწურება და იმედი გვაქს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო სრულად მოგვაწვდის მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციას.



5. **საქართველოს თავდაცვის სამინისტრო:** თავდაცვის სამინისტროსაც 31 შეკითხვა გაეგზავნა. ორთვიანი დუმილის შემდეგ, თავდაცვის სამინისტროდან მიღებული წერილის მიხედვით, „ინსტიტუტის“ განცხადებები არ აკმაყოფილებდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს, რომლითაც განსაზღვრულია განცხადების შედგენის რეკვიზიტები, თუმცა პასუხში არ იყო მითითებული, თუ რომელი განცხადების შედგენის რეკვიზიტი დაირღვა „ინსტიტუტის“ მიერ. მსგავსი შინაარსის პასუხი თავდაცვის სამინისტროსგან ორჯერ მივიღეთ. როდესაც IDFI სამინისტროს პასუხი გაასაჩივრა თავდაცვის მინისტრთან, სამინისტრომ გასაჩივრებული წერილის იდენტური პასუხი საჩივრის შეტანიდან ერთთვიანი ვადის გასვლის შემდგომ კვლავ გამოგვიგზავნა. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტის (ამ შემთხვევაში სამინისტროს პასუხი) დასაბუთება უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია, რომელიც რამდენიმე მიზანს ემსახურება. პირველ რიგში, იგი უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ორგანოების თვითკონტროლს, რამდენადაც იგი იძულებული ხდება, დასაბუთების ჩამოყალიბების პროცესში ზუსტად განსაზღვროს გადაწყვეტილების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლები და გაამყაროს აქტის დასაბუთება. გარდა ამისა, იგი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადრესატის მხრიდან მისი კანონიერებისა და გასაჩივრების შესაძლო შედეგების შეფასებას. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული აქტი შედგება რამდენიმე წინადადებისაგან და მოიცავს ძალიან მცირე ფაქტობრივ საფუძველს, მისი ადრესატისათვის შეუძლებელი ხდება აქტის შინაარსის, საფუძვლებისა და შედეგის გარკვევა. **ვფიქრობთ, პასუხის ასეთი ფორმა სხვა არაფერია, თუ არა უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე**.



ყველაზე ღია და გამჭვირვალე ადმინისტრაციული ორგანო:

კვლევის დროს გამოიკვეთა ყველაზე გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული ადმინისტრაციული ორგანო - **რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი**. მინისტრის აპარატს გაეგზავნა 16 შეკითხვა, რომელთაგან პასუხი მივიღეთ 16 შემთხვევაში, ამასთან, „ინსტიტუტს“ ინფორმაცია მიეწოდა სრულყოფილად მოთხოვნის შესაბამისად და დადგენილი ვადის დაცვით.



ადმინისტრაციული ორგანოები, რომლებმაც მეტ-ნაკლებად ამომწურავად და ვადის დაცვით მოგვაწოდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია: საგარეო საქმეთა სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.










საქართველოს იუსტიციის სამინისტროში გაგზავნილი შეკითხვების რაოდენობა - 15
14
1
0
9
5
15
0
დაკმაყოფილებული განცხადებები
უარი
უპასუხო
სრულყოფილი
არასრულყოფილი
ვადის დაცვით
ვადის დარღვევით


დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში გაგზავნილი შეკითხვების რაოდენობა- 16
16
0
0
12
4
14
2
დაკმაყოფილებული განცხადებები
უარი
უპასუხო
სრულყოფილი
არასრულყოფილი
ვადის დაცვით
ვადის დარღვევით


სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი შეკითხვების რაოდენობა - 14
13
1
0
10
3
14
0
დაკმაყოფილებული განცხადებები
უარი
უპასუხო
სრულყოფილი
არასრულყოფილი
ვადის დაცვით
ვადის დარღვევით

ადმინისტრაციული ორგანოები, რომლებმაც მოთხოვნების უმრავლესობა უპასუხოდ დატოვეს ან პასუხების უმეტესობა არასრულყოფილი სახით გასცეს

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს IDFI-იმ 30 შეკითხვა გაუგზავნა, თუმცა პასუხი მხოლოდ ორ მათგანზე მიიღო. ინფორმაცია მოგვეწოდა დადგენილი ვადის დარღვევით. დანარჩენ 28 საკითხზე ინფორმაცია სამინისტროდან დღემდე არ მიგვიღია იმ არგუმენტირებით, რომ ინფორმაცია მოცულობითია და მის მომზადებას სჭირდება დრო (როგორც ჩანს ამისათვის 4 თვეც არასაკმარისი დროის მონაკვეთია). IDFI-იმ აღნიშნულ უწყებასაც მიმართა ადმინისტრაციული საჩივრით და ველოდებით საჩივრის განხილვას.



სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან გაგზავნილი 25 შეკითხვიდან პასუხი მხოლოდ 5-ზე მივიღეთ ამომწურავად და დადგენილი ვადის დაცვით. ეს იყო „ინსტიტუტის“ პირველი მიმართვა აღნიშნული სამინისტროსადმი, მას შემდეგ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ განცხადებები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უპასუხოდ რჩება, სამინისტრო ჯერჯერობით არ რეაგირებს არც წარდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარზე, რაზეც გადაწყვეტილების მიღების ვადა კი 18 თებერვალს იწურება.



საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს გაეგზავნა 24 შეკითხვა, რომელთაგან 11-ზე დადგენილ ვადაში მივიღეთ პასუხი, ამათგან 9 კითხვაზე მოგვაწოდეს ინფორმაცია სრულყოფილად, ორ შეკითხვას არასრულყოფილი პასუხი გაეცა. დაუბრკოლებლად მოგვაწოდეს საჯარო ინფორმაცია ისეთ საკითხებზე, რომლებიც არ ეხებოდა პირის პერსონალურ მონაცემებს; როგორც უკვე აღვნიშნეთ, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა სატელეფონო საუბრისას განგვიცხადა, რომ უნდა დავკმაყოფილდეთ იმ ინფორმაციით, რაც უკვე მივიღეთ, სამინისტროს უფრო მეტი ინფორმაციის გაცემა აღნიშნულ საკითხებზე „არ შეუძლია“. თუ რაში გამოიხატებოდა სამინისტროს მხრიდან ამგვარი შეუძლებლობა ჩვენთვის უცნობია.



ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცემაში არც **საქართველოს ფინანსთა სამინისტრო** გამოირჩეოდა გამჭვირვალობით. გაგზავნილი 24 კითხვიდან 18 უპასუხოდ დატოვეს, მათ შორის მივიღეთ ერთი უარი თანამშრომელთა სახელფასო ფონდის და პრემიების შესახებ გაგზავნილ შეკითხვებთან დაკავშირებით. სამინისტრომ უპასუხოდ დატოვა კიდევ ბევრი შეკითხვა, მათ შორის არაფინანსურ საკითხებზეც. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ აღნიშნულ უწყებასაც მიმართა ადმინისტრაციული საჩივრით, რაზეც ფინანსთა სამინისტრომ უცნაური და გაუგებარი რეაგირება მოახდინა. კერძოდ, სამინისტროს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ნათქვამია, რომ ადმინისტრაციული ორგანოს უარი ინფორმაციის გაცემაზე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, უნდა გასაჩივრდეს საქალაქო სასამართლოში და, რომ ადმინისტრაციული ორგანო მოკლებულია საჩივრის განხილვის შესაძლებლობას. სწორედ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლით დადგენილია, რომ ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და წყვეტს ადმინისტრაციული ორგანო თუ იქ არსებობს ადმინისტრაციული აქტის გამომცემი პირის ზემდგომი თანამდებობის პირი. როგორც ჩანს, ფინანსთა სამინისტროს სამართლის ნორმების სხვაგვარი ინტერპრეტაცია გააჩნია. ფინანსთა სამინისტროს უარი აუცილებლად გასაჩივრდება საქალაქო სასამართლოში.



შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა და მთავრობის კანცელარიამ უარი განაცხადეს პრემიებთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის გაცემაზე კონსტიტუციის 41-ე მუხლზე მითითებით. ზოგიერთმა მათგანმა, ასევე, არ მოგვაწოდა ინფორმაცია სხვა საკითხებთან დაკავშირებითაც; ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა თითქმის ყველა გაგზავნილ შეკითხვას გასცა პასუხი, მოგვაწოდეს გაცემული პრემიების საერთო ოდენობაც, მაგრამ კონკრეტული თანამდებობის პირების მიხედვით ამ ინფორმაციის გაცემაზე უარი განაცხადეს. აღნიშნული უარები IDFI-იმ ადმინისტრაციული წესით გაასაჩივრა, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში ადმინისტრაციული საჩივრის ზეპირი განხილვა 21 თებერვალს დაინიშნა.


საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გაგზავნილი შეკითხვების რაოდენობა - 26
12
1
13
7
4
0
12
დაკმაყოფილებული განცხადებები
უარი
უპასუხო
სრულყოფილი
არასრულყოფილი
ვადის დაცვით
ვადის დარღვევით


საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაგზავნილი შეკითხვების რაოდენობა - 24
8
1
15
7
1
0
9
დაკმაყოფილებული განცხადებები
უარი
უპასუხო
სრულყოფილი
არასრულყოფილი
ვადის დაცვით
ვადის დარღვევით


ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში გაგზავნილი შეკითხვების რაოდენობა - 16
15
1
0
7
8
7
9
დაკმაყოფილებული განცხადებები
უარი
უპასუხო
სრულყოფილი
არასრულყოფილი
ვადის დაცვით
ვადის დარღვევით


საქართველოს მთავრობის კანცელარიაში გაგზავნილი შეკითხვების რაოდენობა - 20
16
1
3
9
7
0
17
დაკმაყოფილებული განცხადებები
უარი
უპასუხო
სრულყოფილი
არასრულყოფილი
ვადის დაცვით
ვადის დარღვევით

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებები გაეგზავნათ, აგრეთვე, **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.** ორგანიზებულობით და ინფორმაციის მოწოდების ყოველგვარი ნორმის დაცვით გამოირჩევა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; მათგან პასუხები გაგზავნილ შეკითხვებზე „ინსტიტუტმა“ დადგენილ ვადებში მიიღო, პასუხი გაეცა 14 შეკითხვას, რომელთაგან არასრულყოფილი იყო მხოლოდ ოთხი. IDFI-იმ ერთთვიანი დაგვიანებით მიიღო მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტეტიდან. სამწუხაროდ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისგან განსხვავებით, თსუ-ს ადმინისტრაციამ არ მოგვცა რექტორის (თანამდებობის პირის) პრემიური ანაზღაურების შესახებ საჯარო ინფორმაცია.





IDFI-იმ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის განცხადებებით **თბილისის მერიასაც** მიმართა. გაიგზავნა 26 მოთხოვნა. მერიამ პასუხი გასცა მერიის თანამშრომელთა ფინანსებთან დაკავშირებულ შეკითხვებს, თუმცა ამ შემთხვევაში, ციფრები მივიღეთ მხოლოდ ზოგადი სახით. მაგალითად, როდესაც მოთხოვნილ იქნა სამივლინებო ხარჯები კონკრეტული პირების შესახებ, მერიამ მოგვაწოდა მთლიანად თანამშრომელთა მივლინებებზე გაწეული ხარჯის ერთიანი ციფრი. ინფორმაციის მოწოდებისთანთვე ადმინისტრაციული საჩივარი თბილისის მერიიდან უკან გამოვითხოვეთ, თუმცა უფრო კონკრეტული კითხვებით „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ თბილისის მერიას ისევ მიმართა.



IDFI-ის მოთხოვნების უმეტესობა საჯარო ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით **საქართველოს პარლამენტმა** უპასუხოდ დატოვა: საქართველოს პარლამენტის აპარატმა არ მოგვაწოდა საჯარო ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის 2010 წლის ბიუჯეტისა და ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შესახებ. ვერ მივიღეთ ინფორმაცია პარლამენტის თავმჯდომარისა და პარლამენტის წევრთა, სახელფასო დანამატებისა და პრემიების შესახებ. საქართველოს პარლამენტის პასუხში ნათქვამია, რომ აღნიშნული ინფორმაცია იდენტიფიცირებადია და გაცემას არ ექვემდებარება. საქართველოს პარლამენტმა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლზე მიგვითითა.

IDFI-იმ პარლამენტიდან განმეორებით გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია, იმ დასაბუთებით, რომ „თანამდებობის პირთა“ პერსონალური მონაცემები ღიაა და არ საჭიროებს ამ პირთა თანხმობას მათ გასაცემად და რადგან საქართველოს პარლამენტის წევრები, შესაბამისი ნორმატიული აქტების თანახმად, წარმოადგენენ თანამდებობის პირებს, მათ შესახებ ყოველგვარი ინფორმაცია უნდა იყოს ღია და ხელმისაწვდომი. საქართველოს პარლამენტმა განმეორებით მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე IDFI-ის აცნობა, რომ პარლამენტმა აღნიშნულ მოთხოვნებს პასუხი უკვე გასცა. მივლინებებზე დახარჯული თანხების, ავტოპარკისა და კავშირგაბმულობის ხარჯების შესახებ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე საქართველოს პარლამენტის აპარატიდან მივიღეთ მხოლოდ ზოგადი შინაარსის პასუხი. კერძოდ, IDFI-ის მიერ მოთხოვნილი თანამდებობის პირებზე ხარჯების თვეების მიხედვით გადანაწილების კონკრეტული ციფრების ნაცვლად, მხოლოდ ერთიანი ფინანსური დანახარჯები მოგვაწოდეს. საქართველოს პარლამენტი, როგორც ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო, ყველაზე მეტად ანგარიშვალდებული უნდა იყოს მოქალაქეების წინაშე და მას ევალება გამჭვირვალობის პრინციპის დამკვიდრებისაკენ სწრაფვა. სამწუხაროა, რომ იმის მაგივრად, რომ საქართველოს პარლამენტი, კანონმდებელი ორგანო, თავისი გამჭვირვალე საქმიანობით იყოს მისაბაძი მაგალითი ყველა სხვა საჯარო დაწესებულებებისთვის, სწორედ რომ საქართველოს პარლამენტისგან ვაწყდებით უსაფუძვლო დაბრკოლებას საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, საზოგადოებისა და ელექტორატის წინაშე ანგარიშვალდებულების უხეშ დარღვევას.



საჯარო დაწესებულებები	შეკითხვების რაოდენობა	დაკმაყოფილებული განცხადებები	უარი	უპასუხო	სრულყოფილი	არასრულყოფილი	ვადის დაცვით	ვადის დარღვევით
საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	33	2	0	31	0	2	0	2
საქართველოს პარლამენტი	21	10	1	10	2	8	1	10
მთავრობა/მთავრობის კანცელარია	20	16	1	3	9	7	0	17
შინაგან საქმეთა სამინისტრო	31	0	0	31	0	0	0	0
თავდაცვის სამინისტრო	16	0	16	0	0	0	0	16
იუსტიციის სამინისტრო	15	14	1	0	9	5	15	0
ფინანსთა სამინისტრო	24	5	1	18	5	0	1	5
სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	25	5	0	20	5	0	5	0
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	30	2	0	28	2	0	0	2
ენერგეტიკის სამინისტრო	24	11	0	13	9	2	11	0
საგარეო საქმეთა სამინისტრო	16	15	1	0	12	3	0	16
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	26	11	1	14	7	4	0	12
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	17	15	1	1	15	0	0	16
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	31	0	0	31	0	0	0	0
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	24	8	1	15	7	1	0	9
ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	31	0	0	31	0	0	0	0
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	18	17	0	1	15	2	17	0
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	16	16	0	0	10	6	0	16
სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში	16	15	1	0	7	8	7	9
რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	16	16	0	0	16	0	16	0
დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	16	16	0	0	12	4	14	2
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	14	13	1	0	10	3	14	0
ქალაქ თბილისის მერია	26	12	0	14	3	9	0	12
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	14	14	0	0	10	4	14	0
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	14	13	1	0	8	5	0	14
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	1	1	0	0	1	0	1	0
კომუნიკაციების ეროვნილი კომისია	1	1	0	0	1	0	1	0
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	1	1	0	0	1	0	1	0
სამოქალაქო რეესტრი	1	1	0	0	1	0	1	0
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	1	1	0	0	1	0	0	1
	539	**251**	**27**	**261**	**178**	**73**	**119**	**159**

დასკვნის სახით

პროექტის „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა“ – განხორციელების ფარგლებში საქართველოს ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან გამოიკვეთა შემდეგი დაბრკოლებები: საჯარო ინფორმაციის გაცემა ვადის დარღვევით, ყოველგვარი რეაგირების გარეშე განცხადებების დატოვება, არასრულყოფილად ინფორმაციის მოწოდება, ინფორმაციის უსაფუძვლოდ გასაიდუმლოება, ინფორმაციის გაცემაზე დაუსაბუთებელი უარი, ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების მიერ გულგრილი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება მათზე დაკისრებული მოვალეობების მიმართ, ინფორმაციის გაცემის ფორმის არაერთგვაროვანი პრაქტიკა.

არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის ბარიერები თანდათან იზრდება და სულ უფრო და უფრო არაერთგვაროვანი ხდება. აღნიშნულ დაბრკოლებებს, უმეტესწილად, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და სამართლებრივი ნორმების არასრულყოფილი დეფინიცია ქმნის. ინფორმაციის თავისუფლების სფეროში მოქმედი კანონმდებლობა საჭიროებს უფრო მეტად დახვეწას და არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრას, ნორმათა ინტერპრეტაციის კუთხით. გარდა საკანონმდებლო უზუსტობისა, ხშირად საქმე გვაქვს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ინფორმაციის გაცემის ჩამოყალიბებულ უკანონო პრაქტიკასთან, საჯარო ხარჯების შესახებ ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოები სრულიად განსხვავებულ სამართლებრივ საფუძვლებს უთითებენ, სამაგიეროდ მათი პოზიცია თითქმის იდენტურია საჯარო მოსამსახურის „პერსონალურ ინფორმაციასთან“ დაკავშირებით და ამ მონაცემების გაცემაზე უარის თქმის საფუძვლად კონსტიტუციის 41-ე მუხლზე აპელირებენ. დღეისათვის პერსონალური მონაცემების სამართლებრივი განმარტება ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს, სრულიად დაუსაბუთებელია ადმინისტრაციული ორგანოების უარი და არგუმენტირება, რომ თანამდებობის პირთა პრემიების შესახებ ინფორმაცია პირად საიდუმლოებას წარმოადგენს.

პროექტის შედეგები ასევე ადასტურებს, რომ ინფორმაციის გაცემა დამოკიდებულია როგორც ადმინისტრაციული ორგანოს „ნება-სურვილზე“, ასევე მოთხოვნილი ინფორმაციის შინაარსზე. როგორც კვლევაში აღინიშნა, მაგალითად, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას IDFI-ის იმ განცხადებებზე, რომლებიც ეხებოდა ადმინისტრაციულ ხარჯებს, არც ერთზე რეაგირება არ მოუხდენია, სამაგიეროდ, დადგენილ ვადებში მოგვაწოდეს ინფორმაცია პრეზიდენტის მიერ მიღებული ოფიციალური საჩუქრების ჩამონათვალის შესახებ.

გაუგებარია, ადმინისტრაციული ორგანოების მიდგომა თანამდებობის პირთა შესახებ არსებული პერსონალური მონაცემების გასაიდუმლოების მიმართ, მაშინ როდესაც კანონში არის პირდაპირი მითითება ამ მონაცემების საჯაროობაზე, თანამდებობის პირთა ყოველგვარი თანხმობის გარეშე. აღნიშნული პრაქტიკა მოწმობს იმაზე, რომ საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, ასევე, არაერთი პრობლემა არსებობს საქართველოს კანონმდებლობაშიც. ყოველივე ზემოთ მოყვანილი უსამართლოდ ზღუდავს თითოეული მოქალაქის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებას - საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

საკონტაქტო ინფორმაცია:

ა.მაჭავარიანის (არაგვის) ქუჩა №4
საქართველო, თბილისი, 0179
ტელ: + 99532 996364
ელ-ფოსტა: info@idfi.ge
ვებ-მისამართი: www.idfi .ge